

5  
1957

# ნათელი



№ 24 გაზეთი „ნათელი“ წელი XXXI, ფასი 2 ზან. თბილისი დაკავშირებული 1954



1955 წლის გეგმებს ჯერ კიდევ შარშან და შარშანწინ ასრულებდნენ ჩვენი ქვეყნის მოწინავე მშრომელები.

**მოსუცი** — ახალი წელი მე ჩვილ ურმად მუავდი წარმოდგენილი, შენ კი—უკვე დავაუკაცებულხარ?! შენს გავრდას, უსქმურად და უზრუნველად არ გაატარო შენი დრო...

**ახალგაზრდა** — განა ცოტა რამ არის გასაკეთებელი ჩემი მომდევნო წლებისათვის? იმათ გეგმებს მე ჩავჭიდებ ხელს...



— მალე დადგინდება, ხუფთა ქაღალდის ფურცელს გხედავ მაგიაზე...  
— დაეწყოთ თავიდან... ჩაეწერეთ პირველი საყვი-  
დური დავალებებისათვის...  
— როგორ გეკადრება, ხევერთან, მე ხომ ახალ წელს  
გვხვდებით... მთელი ღამე თვალს არ მომიხუჭავს...

წმ. ირ. ვარდელაძის



— ახალი წლის პირველი დღეა და შევსება, ჯერ  
ახალი კრიტიკისა და ახალი რევიზიებისათვის არავის სცალაო!

„მოვიკლავთ ახალ წელს ახალსავე!“

წინა  
სახალწლო  
სურვილები

მხურვალე მოვლენებით და მოგილოცათ, ამხანა-  
გებო, ახალ წელს.  
განუზომილია წარმატებანი, რაც 1954 წელმა დაახვედრა  
ჩვენს ბედნიერ, ჯანდონიო სასესე ჟამებს — ახალ, 1955 წელს.  
ეს წარმატებანი იგრძნობა სახალხო მუშაობის ყველა  
დარგში, კულტურის ფრონტზე.  
როცა კაპიტალისტური სამყარო წგრევისა და ქვების  
გვემებს აწყობს, საბჭოთა ხალხი აუწეებს კომუნისტს, იგი  
მშვიდობის მტკიცე ბურჯია.  
დილია ამ მშენებლობა საბჭოთა საქართველოს წელიწადი.  
წინაგი ითვლისწინებს წარმატებებით აღსავსე გასუ-  
ლი წლის ზოგიერთი ჩრდილიან მხარეს და გამოისთვამს  
თავის სახალწლო სურვილებს.  
რა სურს წინას?

რომ 1955 წელსაც ნადრევედ შეხვდეს შახტებსა და  
ქარხნებში, — ახლა ხომ მარტო კადენდარს არ უყურებენ.

მიწაც კი გრძნობებს ხორბლის თავთავების სიმძიმეს.

მოსკოვში გამოვლენად გასაგზავნი ჯარების ერთ ძირს  
ერთი კაცი ძიღს სძრავდეს, რაც შეუძლებ სიმძისს, კოლმე-  
ურნეს მალაღი კიბე დასჭირებოდეს მასზე მისაყუებლად,  
რომ ტარობი მოტეხოს, მხოლოდ ფრთხილად, ქვეშ არ  
მოყვეს ტაროს.

მინარეს მთავი აქვს სათავე, რძეს — ფერმაში; წელ-  
საც იღინოს უმრეტად რძის მინარეს!

რაც იქნება იქნეს — ჩვენმა სამშენებლო ორგანიზა-  
ციებმა იანვარში ჩაყრილ საძირკვედს დეკემბერში მაინც და-  
ამუნონ კვდიები.

ვერ ჩასაწყობი მიღები მომიზანებს „წყაღკანაღტრეს-  
ტმა“ და ტროტუარების აყრა-ამოთხრა-ამოწიქრა მხოლოდ  
ამის შემდეგ დაწყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დამნაშა-  
ვეს პირველს თვითონ ჩაუვარდეს თხრილი ფეხი.

განსაკუთრებით დიღის რვა-ცხრა და საღამოს ექვს-შვიდ  
სათებს შორის ნუ დადებინან და ნუ ჩამწვრილებინან შუა-  
გზაზე ტრამვაი-ტროლეიბუს-ავტობუსები, წინააღმდეგ შემ-  
თხვევაში, მთავარი დამნაშავეს „პოლელის“ საბურავი დაშ-  
ვებულებდეს, როცა მას სამსახურში, ან სახლი მიეჭრება.

„თელასმა“ მზის ამოსვლა-ჩასვლის გრავიკს შუფარ-  
დის მოსახლეობისათვის შუქის მიცემის გრავიკი: შუალა-  
მით, შუაძიღის გროსი კი არა, საღამოს და ადრე დილით გა-  
განათოს.

ზოგიერთი დანებებულებაში მოხონებების მიმართ  
დაკარგული თავაზიანობა სასწრაფოდ მოინახოს და პატ-  
რონს დაუბრუნდეს.



ახალი წელი — ჩვენ აქ პირველად გვხვდით ერთმანეთს, თქვენს მოხვლას გავუმარჯოს!

-----

დირექტორმა მარტო კვირას კი არ გაისინას უზღბი  
და გაიღობოს, და ისიც მაშინ, როცა მის მაღეს დიდი ლო-  
კო ამოქვეყნა, არამედ მაშინაც, როცა მის კაბინეტში დამ-  
ღებულად მოკრძაბილი შუგა.

ზოლტენიკოვი ლურმუნებს არ ჰყიდდეს რკინა-კავეუ-  
ლის მალაზიში, ხოლო ფარმაცეტი — საგანდტროლო მალა-  
ზის მოღარე არ იქნეს.

ხილ-ბოსტნეულის მალაზიში ხილ-ბოსტნეულის ნაცვად  
„სიროფი“ და სასიროფო არ იყიდებოდეს.

ყველა ამბობს: ნალა-პორჩალო-ახალციხის კარტოფილი  
ყუაიოინაში; ვაჭრობის მუშაკებმა თბილისელებს არ და-  
ეწყინოს მისი გეო.

შავიზღობისპირეთიან თბილისისაკ სწვეოდენ მანდა-  
რინები — გულთბილად დაუბედობდით!

მალაზიებში ნუ იქნება: იანვარში ზოღის ქუდი, აგვის-  
ტობში — ბუნებისა.

მილიციის ხუდიგინსა და გადამყიდვისის არ შუშინე-  
ბიღეს.

დაე, ეს წელიწადი შრომისა და სიმღერის წელიწადი  
იყოს, — სიტყვა ეხვევათ კომპოზიტორებს.

თბილისი კვერი გვიან ცხვება, მაგრამ ჩვენს კინოსტე-  
დია ამ ანაზნას ნუ უყურებს, ის თბილი არ არის.

მეტალურგის რუსთაველები მრავლებიან, ემბატო!  
მაგრამ მწერლობასაც ერთი რუსთაველი შემატებოლეს!

მწერის დაბირება წინაგდ ქვეულისო.

მთარგმნელთა შორის დინასხილისი მომზადდენენ.  
სტობის დინასხილისი გუმრივი საღის ახვევრე-  
დეს, ეიდრე მეთიხვევს — უგუმურ თარგმანს ანეიდეს.

ერთი რაციონალიზატორი წინადადება: — გაფართო-  
დეს ზოგიერთი ცენტრალური ქუჩა მოსოერე ახალგაზრ-  
დის მომზადების გამო.

შვევირად შუმკირებულისო ჩვენში წინაწილს კლიენტ-  
ბისა და პაციენტების რიცხვი, წინაწილს უტყობოთმე ბევრი  
საბუშოი აქვს.


იყავით ბედნიერად, მზიარულად. ახალი შრომითი წარ-  
მატებებით გავეტარებინოთ ეს წელიწადი.

ისე, საჭიროების გროს მოგინახულებთ



ნენელი  
ირითიანი





სკოლის წინ მკვეთრად დამუხრუჭებული მსუბუქი ავტომანქანის ღრქიალმა დილის მყუდროება დაარღვია. ორმოცდახუთიოდე წლის ბრგე მამაკაცმა, მძღავრად რომ მიაჯახუნა მანქანის კარი, მოჭიდავის ნაბიჯებით გასწია სამასწავლებლოსკენ. პირში დარდიმანდულად გაჩრილი პაპიროსისაგან უკან თეთრ ნისლად მისდევდა ბოლი, წარბებანდ ჩამოფხატულ „გალიბარდის“ ქვეშ მრისხანედ გამოიყურებოდნენ დიდრონი თვალები. მას შორიახლო 14-15 წლის თმახუჭუჭა ატლეთური აგებულების ვაჟი მისდევდა.

— ვალოდიას მამა მოვიდა, — ავივთვიდნენ V კლასში მოსწავლეები და რამდენიმე მათგანმა ღია ფანჯრიდან თავიცი კი გამოყო.

— ალბერტის მამა მოდის, — წაიჩურჩულეს მესამეკლასელებმა და ახალი ამბის მოლოდინში ფანჯრებისაკენ ბატებივით წაიგრძელეს კისრები.

მოსწავლეებმა გამოცდილებით იცოდნენ, რომ სკოლაში დავით ოგანოვის მოსვლა ტყუილ-უბრალოდ არ ჩაივლიდა, რაღაც უნდა მომხდარიყო. პატარებმა ჰაერში დატრიალებული „ომის“ სუნი იგრძნეს.

დავითს სამასწავლებლოში მორიგე მასწავლებელმა სკამი შესთავაზა.

— დავებრძანდე კი არა, შენ ერთი ეს მითხარი, ვალოდიამ განა ისეთი რა ქნა, რომ სკოლაში აღარ შუუშვით, პა? — გოროზი ხმით შეეკითხა დავითი მასწავლებელს და თან მარჯვენა ხელის სალოკ თითზე მანქანის გასაღების ძეწკვი დაატრიალა, — მაიპარა რამე, კლიტე გატეხა, თუ მოკლა ვინმე? მითხარით ვეჯაკურად და ჩემს შვილს აქვე დაკვლავ, — მუქარით დაამთავრა ოგანოვმა და მასწავლებელს უტიფრად მიაჩერდა.

— არა, პატივცემულო დავით, ბავშვის „დაკვლა“ როგორ გეკადრებათ! — მიუგო შეშფოთებულმა მასწავლებელმა და განაგრძო, — გუშინ ვალოდიამ კვლავ უხეშად დაარღვია წესრიგი, მოსწავლე გოგონას საცხე შუშა მელანი ახალ კაბაზე გადააქცია და შუშა კედელს შეაღწა. ამასთანავე სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა ქართული ენის მასწავლებელს. ამის გამო შეგაწუხებთ. გენდოდა თქვენთან ერთად მოგვესაუბრა ვალოდიას შესახებ, იქნებ...

— მაშ ასე გამოდის რომა, ყველაფერში ჩემი შვილი ყოფილა დამნაშავე? — შედრიალა დავითმა. — როგორ დავიჯერო, სხვა მოსწავლეები არ ანგლობენ?! ვთქოთ, ბავშვს სამელნე გაუტყდა, მაგიტომ უნდა გამაადლოთ? რომ გეთქოთ, ათ სამელნეს გიყიდადით, მაგრამ მე ვხედავ, აქ სხვა ანგარიშები, აქ ჩემი ინტერესი გაქვთ! ამას მე გავიგებ, ამ საქმეს ასე არ დავტოვებ, ასე მიახსენეთ თქვენს დელექტორს! — მრისხანედ დაამთავრა ოგანოვმა და გინებით გაემართა კარისაკენ.

ოგანოვის ღრიალს ყველანი დაედუმებინა. იგინებოდა ოგანოვი, ემუქრებოდა სკოლას, აქეზებდა თავის შვილებს: მასწავლებლებს „ღმერთი გააცალეთო“.

დავით ოგანოვს ლაგოდენში საკმაოდ „წელმაგარი“ ოჯახი აქვს. მართალია, ეს კაცი დიდათ განათლებული არ გახლავთ და არც ფიზიკურ შრომაში უნახავს ვინმეს გაოფლილი, მაგრამ, როგორც თვითონ იტყვის ხოლმე, „მარიფათითა“ და „შანცით“ ცხოვრებას „მულამი“ გაუგო და თავისი გააქვს. სარფიანი საქმე უყვარს დავითს. წლების მანძილზე იგი „საქხილბოსტანის“ ტრესტის დამამზადებლად ითვლება ლაგოდენის რაიონში, არც მეზობელ რაიონებშია იშვიათი სტუმარი. დავითი იქაც მარჯვედ ამზადებს ხილს, კაკალს,

თხილს, მარჯვედ ატრიალებს „შანცებს“... დავითმა საკუთარი ავტომანქანაც შეიძინა და უფრო წინ წავიდა მისი საქმე. მაგრამ მისი ვაჟიშვილების საქმე ვერ მიდოდა სწავლაში წინ.

მართალია, დავითმა თავისი უფროსი ვაჟი ვალოდია და მისი მომდევნო ძმა — ალბერტი ლაგოდენის რუსულ საშუალო სკოლაში მიიბარა, მაგრამ ეს უფრო პატივმოყვარეობის კარნახით გააკეთა. სინამდვილეში მას სკოლისა და მასწავლებლებისა არაფერი სწამს, ყოველნაირად ცდილობს მათ ავტორიტეტი შეუღახოს თავისი მოწაფე შვილების თვალში მაინც.

— ვინაა? მასწავლებელი, „დელექტორი“? მაგათ ვინა ჰკითხავს? მაგათ მოწაფის გამორიცხვის ნება არა აქვთ, თითს ვერ დაგაკარებენ, „ანგლობას“ ვინ დაგიშლით? — შეაგონებს დავითი შვილებს „აღმზრდელიობითი მზრუნველობით“.

— ვლადიმერ დავითი, რა დროა შენს საათში? — დამილით ეკითხება დავითი „მოწაფე“ შვილს, რომელიც საუცხოო კოსტუმში გამოწყობილი მამის გვერდით გამოქიშულია ავტომანქანაში.

ვალოდია მარჯვენა ხელის ნეკით მარცხენა ხელზე დინჯად გადიწევს „ფინჯაქის“ სახელოს და მაჯის საათზე დაიხედავს.

— ექვსის „ჩეთვერია“, — უბასუხებს მამას ისე, რომ მისკენ არც კი მოიხედავს.

დავითს შეუმჩნეველი არ რჩება შვილის ეს „დიდკატური“ საქციელი და უხარია. ისინი მაწიმის გზით მიჰქრიან ლაგოდენისაკენ, მანქანას დავითი მართავს.

— რაო? როგორ გითხრა რუსულის მასწავლებელმა, „ჩემს გაკვეთილზე აღარ მოხვიდე ვიდრე მამას არ მიიყვანო“?

— ჰო, ვადამეკიდა ეგ ქალი, პაპაჯან, გაკვეთილის დროს აქეთ-იქით არ მიიხედო, ხმამალა არ დამელაპარაკო, დავალება სხვისაგან ვადავიწერიო...

— ვა, მითამ რატომ არ უნდა ვადავიწერო? რვეულში ხომ სწორეთ გიწერია და იმას რა ენაღვლება? მაგრამ ცოტა შენც ისწავლე, ვალოდიაჯან, ცოტა ისწავლე, ცოტა ალბერტამაც ისწავლოს და თქვენი მასწავლებლების ჯობრზედა ოქროში ჩაგსვამთ. ნახე, როგორი კოსტუმი, საათი და ტუფლები გიყიდე?


ასეთი მუსიაფით მიადგებიან ხოლმე თავიანთ ჰიშკარს, მამის შეგონებით ვალოდია მძიმედ ვადმოდის მანქანიდან და ლაქის ტუფლების ქრაქუნით, ბატონკაცურად შედის ეზოში.

მაგრამ მამის ნებეირნი „ცოტასაც“ არ სწავლობენ, მეცადინეობასთან ერთად ყოფაქცევასაც აუარესებენ და აი შედეგიც: ალბერტი შარშან მეორედ დარჩა III კლასში, ხოლო ვალოდია წელს მესამედ დარჩა მეხუთეში.

აი, რა სიკეთე „მოაქვს“, რა „აღმზრდელიობითი“ გზით მიჰყავს ნებეირი შვილები „სქელი საფულითა“ და „ზორბა“ მუშტით გაყოყობულ დავით ოგანოვს, რომელიც ჩვენს თანამედროვეობას სულ ცოტა, მთელი საუკუნითა მაინც ჩამორჩება და რომელიც რატომღაც ცდილობს ტერორის ქვეშ დააყენოს სკოლაც და მასწავლებლებიც.

ჩვენ არ ვიცით ბევრი ეგულება თუ არა ოგანოვს თავისებურად „ამაჯდარი“ მამები, მაგრამ ის კი ძალიან კარგად ვიცით, რომ საბჭოთა სკოლის მოვალეობაა იხსნას ახალგაზრდა მოქალაქენი მათი „ორეულობისაგან“.





იმ დღესაც, ჩვეულებრივ, დილის შემოვლა დაამთავრეს და თავი უნივერსალის პირველ სართულზე მოიყარეს.

ვის არ ნახავდით აქ. თბილისის ცნობილ გადაწყვეტილებულ-სპექულანტთა ძირითადი ბირთვი აქ იმყოფებოდა.

შუა წრეში იდგა სქელკისრიანი და მხრებგანიერი „ვაუკაცი“, რომელიც მკლავებში დაგროვებულ ძალ-ღონეს რიგში პატიოსნად მდგარ მოქალაქეთა მიფანტ-მოფანტვას, ძალადობასა და ურიგოდ გაძრომას ახმარს. მის ირგვლივ, ოცდაათამდე კაცს მოეყარა თავი.

წლოვანებით ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ; ზოგი ახალგაზრდა იყო, ზოგიც ხანში შესული, მაგრამ მათ ერთმანეთთან საერთო საქმე აკავშირებდათ: სხვადასხვა საქონლის შეძენა და ზედმეტ ფასებში გადაყიდვა, თვალთმაქცობა, ყალთაბანდობა, სპექულაცია...

ჯერჯერობით საქმე არაფერი ჰქონდათ. ამიტომ იდგნენ და საუბრობდნენ. ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებდნენ, საქონლის ახალ ფასებს აწესებდნენ, მოგებას ანგარიშობდნენ და თან გამველ-გამომველებს მუშტრის თვალით ზომავდნენ.

უცებ მათი ყურადღება ერთმა ახალგაზრდა კაცმა მიიპყრო, რომელიც აგერ მეთავედ უვლიდა მუსიკალურ ინსტრუმენტთა სექციას და თან საეჭვოდ აქეთ-იქით იცქირებოდა. შემდეგ იმ ახალგაზრდას უცნობი კაცი და ქალი აედევნა. მათ შორის საიდუმლო საუბარი გაიმართა.

გადამყიდველებმა ყნოსვით იგრძნეს, რომ აქ მათთვის საინტერესო საქმე ტრიალებდა. უსაქმოდ მდგომთა ჯგუფს სამი კაცი გამოეყო და მათ მიუახლოვდა. მოსაუბრენი უცებ დაჩუმდნენ.

— ჩვენი ნუ გეზინია, გადმოალაგე შენი საქონელი, — უთხრეს ახალგაზრდას ახალგაზრდას. ახალგაზრდამ გამოცდილი თვალთ ახედა მათ და საიდუმლოდ უპასუხა:

— დღეს აქ მალე რადიომიმღებ „მირ“-ს გაჰყიდინან, აქაური ფასია ათას საწასი მანეთი. ჩეკები მაქვს, — სექციონერი ჩემი კაცია. თუ გნებავთ, თითო ჩეკს ექვსას მანეთად დაგთმობთ, ოღონდ არავესთან ხმა!..

— ჩვენ ხუთასს ვაძლევთ და არ ყაბულდება. — ჩაუბრუნდა სიტყვა ქალმა.

ეს ამბავი უცებ მოეფინა გადაწყვეტილებულთა ჯგუფს. შეიქმნა ბჭობა. იანგარიშეს, საქმე მომგებიანად ცნეს. ჩეკები დიდხანს ატრიალეს, საეჭვო ვერაფერი ნახეს და დიდი ყოყმანის შემდეგ ხუთას მანეთზე შეთანხმდნენ.

რომ უფრო დარწმუნებულნიყვნენ ჩეკების სისწორეში, ისინი პირველად უცნობ ქალსა და კაცს აყიღვინეს. მათაც ორორი ჩეკი აიღეს და ახალგაზრდას ხელში ათას-ათასი მანეთი ჩაუთვალეს.

დაიწყო აღებ-მიცემობა. ახალგაზრდა კაცს ოცდახუთი ჩეკი აღმოაჩნდა. ზოგმა ორი იყიდა, ზოგმა სამი, ერთმა ექვსი ცკი შეიძინა.

უკანასკნელი სამი ჩეკი ახალგაზრდამ თავისთვის დაიტოვა. დიდხანს ეხვეწნენ, მაინც არ დათმო; „ჩემთვის მიწადა“, — უპასუხა. ასე ჩუმად დაინაწილეს გადაწყვეტილებმა „მირ“-ის ჩეკები.

მუსიკალურ ინსტრუმენტთა სექციის სალაროსთან რიგი დადგა. მოითხოვდნენ ხელზე არსებული ჩეკების განაღდებას. მოლარე განცვიფრებული შესცქეროდა მათ. მან არაფერი იცოდა რადიომიმღებ „მირ“-ის მოტანის შესახებ. ეს არც სექციის გამგემ იცოდა, არც მთავარმა ადმინისტრატორმა. წარმოიდგინეთ, არც დირექტორმა, რადგან... რადგან არც



ფერმის გამგის სიაგარვე რომ ნათელი გაეხადა, მხატვარს სურდა ფერმის გამგე ნატურიდან დაეხატა,



მაგრამ მოხდა სასწაული, მხატვარს ტილო გაეხა და ფერმის გამგის სიაგარვეს თითქოს ფარდაც აეხადა! კუჩხა-ბედნიერი

იმ დღეს და არც ახლო დღეებში უნივერსალი არ ელოდა „მირ“-ის ტიპის რადიომიმღებებს.

იკრეს თავში ხელი გადაწყვეტილებმა, მაგრამ უკვე გვიან-ლა იყო. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, ვერც ახალგაზრდა კაცი იპოვეს, ვერც ის ქალი და კაცი, რომლებმაც მათი თვალის ასახვევად პირველად შეიძინეს ჩეკები...

ეს ამბავი მოხდა ამას წინათ თბილისის უნივერსალის მთავარ მაღაზიაში. აქ გამოგონილი არაფერია. თბილისელ ცნობილ გადაწყვეტილებულთა ასე კარგად გაითამაშა თავისი როლი მათსავეთ გაქნილმა ახალგაზრდამ — პარაზიტთა ხროვას მოტყუებით დაცინულა ყალთაბანდობით ნაშოვნი ფული და პირში ჩალაგამოვლებული დატოვა!..

ახია მათზე!..

მაგრამ ეს ხომ სპექულანტებთან ბრძოლა მაინც არ არის?

8. სიმონიშვილი

რედაქტორი ა. ბ. ლ. კ. ა. ლ. ა. ლ. ა. ლ. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი, ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

# გამოფენა გამოუკრევიზის სეზონში!

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

ნახ. ნ. შავლაძე



მახარაძის რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მრავალ საუკეთესო ექსპონატს შორის წარმოდგენილი იყო 60-კილოგრამიანი სულგუნი, რომლის შესატანად საჭირო გახდა კარების ჩამოღება.

გამოფენა დაამზვენა, დახეთ ერთი, რა ყველია!  
ჩვენი სოფლის სიუხვის და შრომის გამომხატველია!